საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით უზენაეს სასამართლოში შემოსული განცხადებების ზოგადი სტატისტიკა

2022 წლის პირველ კვარტალში (იანვარი, თებერვალი, მარტი) უზენაეს სასამართლოში ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 277 განაცხადი. ამათგან:

სრულად დაკმაყოფილდა 252 განაცხადი;

ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 3 განაცხადი. აქედან, 1 ნაწილობრივ არ დაკმაყოფილდა კანონის საფუძველზე, ხოლო 2 - ნაწილობრივ არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი სასამართლოების მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებით არ იყო გათვალისწინებული;

არ დაკმაყოფილდა 20 განაცხადი კანონის საფუძველზე;

ქვემდებარეობის მიხედვით 2 განაცხადი მოთხოვნილი საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილება გასაჩივრდა მხოლოდ ერთ შემთხვევაში. საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით უზენაეს სასამართლოში შემოსული განცხადებების ზოგადი სტატისტიკა

2022 წლის მეორე კვარტალში (აპრილი, მაისი, ივნისი) უზენაეს სასამართლოში ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 624 განაცხადი. ამათგან:

სრულად დაკმაყოფილდა 598 განაცხადი;

ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 2 განაცხადი. აქედან, 1 განაცხადში მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი სასამართლოების მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებით არ იყო გათვალისწინებული. ხოლო, მეორე შემთხვევაში, განმცხადებელს დაევალა მოთხოვნის დაზუსტება;

არ დაკმაყოფილდა 22 განაცხადი. აქედან, 7 განაცხადით მოთხოვნილი ინფორმაცია სასამართლოების მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებით არ იყო გათვალისწინებული, ხოლო15 შემთხვევაში განაცხადი არ დაკმაყოფილდა კანონის საფუძველზე.

ქვემდებარეობით გადაიგზავნა 2 განაცხადი მოთხოვნილი საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.

არც ერთი უარი არ გასაჩივრებულა და არ შემოსულა გაგზავნილ ინფორმაციაზე შესწორების შესახებ მოთხოვნა.